# ერი

№ 19
წელიწადი
მეორე
1914

ფასი:
წლიურათ . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით. . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და-ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

შაბათი, 25 იან.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ"
Ивановская, д. Чиладзе.

ყოველდღიური გაზეთი

ტელეფონი № 149.



## ყოვლდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ერი"

## ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთში ახდო მონაწილეობას მიიღებენ წგნში ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

**გაზეთის ფასი:**
ერთი წლით . . . . 7 მანეთი.
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი.
ერთი თვით . . . . 4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . . 1 შაური.

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწალ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მ., 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ.

მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ" ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.



კვირას, 26 იანვარს, დილის 11 საათზე მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი შორეულ აღმოსავლეთში გადაცვალებულის

**სიმონ პავლეს ძის კანდელაკის**

სულის მოსახსენებლათ, რასაც გოლითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ცოლშვილი.



შაბათს, 25 იანვარს, დ. საჩხერეში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი

**კნეინა სადიკო მელქისედექის ასულის წერეთლის**

მეუღლის სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ თ-დი გიორგი დავითის ძე წერეთელი, კნეინა თამარ გიორგის ასული ამირაჯიბისა და თ-დი სიმონ ირაკლის ძე ამირაჯიბი.



## „რადიუმი"

ხუთშაბათიდ 6, 1914 წლის 23 იანვრიდან ახალი მხატვრული პროგრამა.

I.

**პატე-ჟურნალი.**

მსოფლიო ამბების ქრონიკა

II.

**ფანტომასი**

4 ნაწილათ, წარმოადგენს დამოუკიდებელ მთელს, თამაშითა და სიუჟეტით წინა სერიებზე უკეთესია მე-4 სერია.

კონეფონი 4 ნაწილათ ცნობილ ფრანგ მწერლების პიერ სივესტროსა მარსელ ალენის რომანით

1 აკტი „მეარტელეს გაპარვა". მე-2 აკტი „სისხლიანი კედელი". მე-3 აკტი ფარული მასკარადი. მე-4 აკტი აპაშების ხელში

III.

**ცვალებადი ბედნიერება.**

კომიკური.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დას. საღამოს 51/2

**ანონსი:** ორშაბათიდან აჩვენებენ 1 რუსული სამხატვრო სურათიდან მარტო მოზდილთათვის

**ბაიადერკის თვალები.**

ტრაგედია ოთხ ნაწილათ.



## ქ. ქუთაისში

ვაჭრობამრეწველობის სამინისტროს უწყებაში მეოფი

## საგულალტერო კურსები

## გ. გ. გიგინეიშვილისა

15 იანვრიდან იხსნება მეორე-პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერ გამოცდას შემდეგ რუსულსა და არითმეტიკაში. კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მანეთი. თხოვნები მიიღება ყოველდღე კურსების კანცელარიაში.



ქალაქის თეატრი.

მოსკოვის კორშის თეატრის პრემიერის მსახიობი-მწერლის

## ვიკტორ რაპაზანოვის

გასტროლები

შაბათს, 25 იანვარს, განსაკუთრებით სრულწლოვანთათვის, ავტორის პირადი მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I.

**„სხვისი ცოლი"**

ფარსი 3-მოქმედ. რამაზანოვისა;

II.

**„პაპეი მინდა"**

ფარსი 1 მოქმედ. სიბუროვისა.

მონაწილეობს მთელი დასი.

ადგილების ფასი 3 მ. 2 შ. 2 აბაზამდი, ლოჟები 10 მან. დასაწყისი 8 1/2 საათ. საღამოს. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.



18 დეკემბრიდან

## დაიწყო ხელის მოწერა

ია ეკალაძის (ი. ცინცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემად

წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს დართული ექვნება ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.

წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლამაზათ.

ხელის მოწერა მიიღება ბბ-ნ კ. ოცხელის, თ. მთავრიშვილის, ი. კვიცარიძის, „პროვინციის" წიგნის მაღაზიებში და კერძო აგენტებთან.

ფასი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.

მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით; ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა.

გამომცემელი **ია. ცინცაძე.**



## ქუთაისი

## პირველი კერძო საკურნალო

სპეციალისტი აქიმებით.

**მუდმივი საწოლებით** თ. ს. რედიგინის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

**დილით.**

| | |
|---|---|
| კ. ს. ამაანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. | 1— 2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის | 10—12 |
| ს. ს. რედიგინი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო | 11—12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12— 2 |
| გ. ს. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | 12 1/2 2 |

**საღამოთ.**

| | |
|---|---|
| გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის | 4 1/2—5 1/2 |
| გ. ს. ჭოდოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | 5 1/2—6 1/2 |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა.

ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.



1914 წლის 2 იანვრიდან
ქუთაისში, კირაკოზოვისა და ოგანოვის სახლში, ბულვრის პირდაპირ გაიხსნა

**კანტორა**

ნოტარიუსის ვ. პ. კოკოჩაშვილისა.

2 января 1914 года
въ Кутаисѣ на Гимназической ул. въ д. Киракозова и Оганова открыта

**контора**

НОТАРІУСА В. П. КОКОЧЕВА.



**იყიდება** კახიანაურში რკინის გზის გადასავალთან ორსართულიანი ქვიტკირის სახლი, დაგირავებული ბანკში, ღვინის სარდაფით, სარაიათი და ბალით, ზომით 400 კვ. საჟ. პირობების გაგება შეიძლება ტ. მ. კნუნთან, თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.



**აქიმი** კ. ო. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.



**აქიმი** ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.



**აქიმი** დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.


## წინააღმდეგობა!?

ჩვენ გვეუბნებიან—გლეხებს ურჩევთ მიწები შეიძინონ, თავად-აზნაურთა მემკვიდრეობა დაირჩინონ, გადასახლდენ ქართლ-კახეთში თავისუფალ მიწებზე. ყველაფერი ეს დადათ სასურველია. ქართველმა საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს მათ ამ ძნელსა და მძიმე საქმის განხორციელებაში; ყოველი შეგნებული ქართველი უნდა დაეხმაროს გლეხებს მიწის შეძენის საკითხის სასურველად გადასაწყვეტათ, მაგრამ თუ თქვენ ამ გზას დაადექით, მაშინ ხომ დიდი კედელი აიმართება თქვენს პრინციპებსა და პრაკტიკულ მოქმედებას შორის, ეს ხომ დიდ წინააღმდეგობას დაბადებს პროგრამის მუხლსა და დღევანდელი მოღვაწეობის შორის.

როგორ გინდათ ურჩიოთ გლეხს მიწა იყიდოს, როდესაც აგრარულ საკითხს მიწის სოციალიზაციით სწყვეტთო. თუ მიწა არავის კერძო საკუთრებას არ უნდა შეადგენდეს, როგორღა დაეხმარებით გლეხს მიწის ყიდვაშია, როგორღა მოუწოდებთ, კერძო საკუთრება შეიძინოს, როცა თქვენი პროგრამა მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობას ალიარებსო. ამ მოვლენას ზერელეთ რომ შეხედოთ, მართლაც ამგვარ წინააღმდეგობას შეამჩნევთ, თუ საქმეს ღრმათ არ ჩაუკვირდებით, იტყვით—თეორია და პრაკტიკული მოქმედ ბის გეგმა, რომელსაც დღეს ცხოვრება დაჟინებით გვიკარნახებს, ერთი მეორეს არ ეთანხმება. ასეთი გულუ რყვილო მეთვალყურე გვიყენებს დილემას—პროგრამის ძირითად მუხლზე ხელი აიღეთ და თუ ამას არ იქმთ, იძულებული იქნებით დღევანდელ გლეხთა მიწსამფლობელობისა და მოწესრიგების საქმეს, გადასახლებას, სამეურნეო ბანკის და სხვა საზოგადოების დაარსებას, რომელთა მიზანიც იქნება ზემოალნიშნულ საქმეთა შოწესრიგება, გულ-ხელ დაკრეფილიშესაქეროდეთო. ამ რიგათ გამოდის, რომ ჩვენი პროგრამა ჩვენვე გვხუთავს, ხელ ფეხს გვიბორკავს ცხოვრების მიერ წამოყენებულ, მწვავე, ჩვენი ერის საჭირბოროტო საკითხზე. პასუხი ვერ გაგვიცია, და ყველა ეს თურმე სხვერპლათ უნდა შევწიროთ პარტიულ სიწმინდეს, თეორეტიულ მოსაზრებათა მთლიანობას, ასეთს ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილვართ; ასე ვისჯებით დოგმატიკოსობისათვის!!

ასე გვეუბნებიან, მეგობრები, რომელთაც ჩვენზე გული შესტკივათ, თანაგვიგრძნობენ, სურთ რითმე დაგვეხმარონ და იმ ხელ ფეხ-შემბორკველი „ლაგმიდან" გაგვათავისუფლონ და მით შეძლება მოგვცენ, ჩავერიოთ საქმეში, ხელი შევუწყოთ ჩვენს მიწა წყალზე ადგილობრივ მცხოვრებთა დამკვიდრების საქმეს.

განა მართლა ასეთია მდგომარეობა?

ჩვენ არ შევუდგებით აქ იმის გამორკვევას, თუ რა წინააღმდეგობას ქმნის ცხოვრება, კერძო პირის ან საზოგადოებრივი ჯგუფის მოქმედებაში, თეორია და პრაკტიკა, პრინციპები და ყოველდღიური მოღვაწეობა, სიტყვა და საქმე ი შვიათად გამომდინარეობენ ერთიმეორისგან. თვით ცხოვრება სავსეა მრავალისა და სხვადასხვაგვარის წინააღმდეგობით ხშირათ ადამიანი იძულებულია თავისი პრინციპების წინააღმდეგ იმოქმედოს. ასეთსავე მდგომარეობაშია ხშირათ პოლიტიკური პარტიაც, საზოგადოებრივი ჯგუფიც. ამგვარ მდგომარეობაში ვგონიავართ ჩვენც ზოგიერთებს. მაშ, გვარქვით სად არის წინააღმდეგობა...

განსაზღვრული მიმართულება ალიარებს, რომ აგრარული საკითხის რადიკალურათ გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობით, მიწის საზოგადოებრივი კავშირის ხელში გადასვლით. მიწა უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო კუთნილებ:თ, ხოლო საექსპლოატაციოთ მიეცემა კერძო პირებს, მიწისმომქმედს მშრომელ ხალხს. იგია ეროვნული სიმდიდრე და საერო საკუთრებას უნდა შეადგენდეს. ეს არის მიზანი, რომლის განხორციელებაც მოსპობს სასოფლო-მეურნეობის ნორმალურ განვითარებას, ბოლოს მოუღებს მიწაზე ფასების ზღაპრულ ზრდას და ერთობ მიწის საკუთრებას მოაწესრიგებს. დღეს არ არის დრო, ეს დებულება დავასაბუთოთ. ყოველი პოლიტიკური ჯგუფი თავისებურათ სწყვეტს აგრარულ საკითხს და ხსენებულ ჯგუფსაც აქვს თავის შეხედულება მის შესახებ.

ეს არის ის წესი მიწის საკუთრებისა, რომელიც საუკეთესოთ მიაჩნია ერთ მიმართულებას და რომლის მიხედვითაც უნდა მოთავადარიგებული იქნას ეროვნული სიმდიდრით სარგებლობა. შეიძლება მომხრე იყოთ პრინციპიალურათ მიწაზე კერძო საკუთრების არსებობის, მუნიციპალიზაციის, ზოგი უბრალო დაყოფას აკუთნებს უპირატესობას და სხვა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა ზემოალნიშნული პროეკტი, როგორც

აღვნიშნეთ ეროვნული საკუთრების თვით ერში განაწილების, ან მისი საერთო სარგებლობით მოწყობის საშვალებანია.

რასაკვირველია, ჩვენ შეგვიძლია სხვადასხვა აზრისანი ვიყოთ იმის შესახებ, თუ როგორ ვისარგებლოთ საკუთარის ტერიტორიით, რომელი ფორმა საკუთრებისა და მფლობელობისა უფრო სამართლიანი და სასარგებლო იქნება უმრავლესობისთვის. ჩვენ ვსთვლით, რომ ერისა და მშრომელი ხალხისათვის ყველაზე სამართლიანი იქნება კერძო საკუთრების მოსპობა და მისი განსაზოგადოებრივობა.

მაგრამ თუ კი თვით ამ მიწის დაკარგვის საფრთხე ჩვენ თვალწინ ამართულა, თუ კი საერთოდ ხელიდან გვაცლიან ტერიტორიას, მაშინ რაღა უნდა გავსაზოგადოებრივოთ, ან რაღა უნდა გავინაწილოთ, მაშინ რაღა აზრი აქვს ან ჩვენ, ან სხვის პროექტს, რაღაზე ვიმსჯელოთ ამაზე, კერძო საკუთრება რაციონალურია, თუ საზოგადო, როცა საერთოდ საკუთრებას გვართმევენ, აღარ გვექნება არც კერძო და არც საზოგადო. ასეთ შემთხვევაში, რომ ჩვენ დავიყვიროთ ფრთხილად! ნურავის გაატანთ ქართველი ერის საკუთრებას, ეცადეთ, სხვებს არ დაანებოთ თქვენი მიწა-წყალი, ყოველგვარი საშვალება იხმარეთ მის შესარჩენათთქო, განა, ეს წინააღმდეგობა იქნება პრინციპებისა და ყოველდღიური მოქმედების შორის. პირიქით, ჩვენი დღევანდელი მოქმედება პირდაპირ გამომდინარეობს ჩვენი თეორეტიული შეხედულებიდან. ჩვენ ტერიტორიას ვუყურებთ როგორც ეროვნულ სიმდიდრეს, რომელიც ქართველი ხალხის საკუთრებას უნდა შეადგენდეს და როცა მას საფრთხე მოელის, არათუ შეგვიძლია, მოვალე ვართ მის შესარჩენათ ვიზრუნოთ.

დ.

# ახალი ამბავი.

23 იანვარს დეპუტატთა საკრებულოში გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის თავ. დავით ნიჟარაძის მოწვევით შესდგა კრება. რომელსაც დაესწ ენ სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენელნი და კერძო პირები.

კრებას გუბერნიის წინამძღოლმა მოკლეთ გააცნო მიზანი ქუთაისში სამეურნეო ბანკის დაარსებისა. ხსენებული ბანკი, სთქვა მან, სხვა ასეთი ტიპის ბანკებისგან იმით განსხვავდება, რომ წევრებათ განზრახულია წვრილი კრედიტის დაწესებულებათა მიღება, რითაც ის მჭიდროთ შეკავშირებული იქნება მთელი გუბერნიის სასოფლო-მეურნეობასთან„ ო. შემდეგ გაიმართა მსჯელობა წესდების შესახებ, რომლის საბოლოოთ შესასწორებლათაც არჩეულ იქნა 7 კაცისაგან შემდგარი კომისია. დამფუძნებლებმა რწმუნებულათ აირჩიეს შორაპნის მაზრის წინამძღოლი თავ. პეტრე წერეთელი, რომელსაც მიენდო სამინისტროს წინაშე შვამდგომლობის აღძვრა და წესდების დამტკიცება.

✦ ქუთ. დრამატიული საზოგადოების გამგეობამ კოტე ყიფიანის იუბილეზე დასასწრებათ ორი წევრის გაგზავნა გადასწყვიტა თფილისს რომელთაც დაევალა ადრესის წაკითხვა და აჩუქრის მირთმევა.

ქ. ქალაქის გამგეობასაც განზრახვა აქვს გაგზავნოს ამავე მიზნით თავისი წარმომადგენელი.

✦ რაჭიდან ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ შარშანდელი მოუსავლობის გამო ხალხი დიდ გასაჭირშია ჩაცვენილი. ფუთი სიმიდი მანეთინახევრათ ფასობს. უმაღლესი მთავრობის განკარგულებით მაზრის უფროსმა გლეხებს გამოუცხადა, რომ მათ შეუძლიათ ხაზინიდან გაიტანონ ფული, ვისაც რამდენი სჭირდება სამი წლის ვადით უსარგებლოთ, მხოლოდ მის გადახდაზე ხელი უნდა მოგვიწეროს შემძლე გლეხებმა, რომელთაც სესხი არ სჭირდებათო. ამაზე ეს უკანასკნელნი არ თანხმდებიან, რადგან ფიქრობენ, რომ გაჭირვებული გლეხები სესხს ვერ გადაიხდიან და იგი ჩვენ გადაგვხდებაო.

ამგვარათ მთავრობის სესხით დღევანდელ გასაჭირის დროს გაჭირვებული გლეხები ვერ სარგებლობენო.

✦ 23 იანვრის კრებაზე ქ. შ. წ. კ. ს. ქუთ. განყოფილების გამგეობამ დაადგინა, მიიღოს ძმ. გრ. და ზურაბ გველესიანებისაგან მამა მათის ნაანდერძევი შემოწირულობა სამასი თუმანი, რომლის ნახევარიც განყოფილების სრულ განკარგულებაში დარჩება, ხოლო მეორე ნახევარი ექნება განყოფილებას სესხათ და ნაწილ-ნაწილ შეიტანს ქუთ. საეტნოგრაფიო საზოგადოებაში, სადაც გველესიანის სახელზე დაარსდება ერთი განყოფილება.

თავჯდომარემ ამავე კრებაზე განაცხადა, რომ მან მიიღო ერთი პირისაგან 600 მ. განყოფილების სასარგებლოთ და შეპირებულია კიდევ 1000 მ. შემომწირველი უცნობათ უნდა დარჩეს. გამგეობამ დაადგინა, ეს ფული გადასდვას მისი ახალი სტამბის გასაძლიერებლათ.

კრებამ დაადგინა მუხიანის სამკითხველოს შესახებ შეეკითხოს უმთავრეს გამგეობას, გადმოსცემს თუ არა იგი ხსენებულ სამკითხველოს ქუთ. განყოფილებას თავის შფარველობის ქვეშ, რომ უკეთ მოაწესრიგოს მისი საქმეები თავის ინსტრუქციის მიხედვით.

კრებამ მოიწონა განცხადებათა (вивѣска) ორი ფორმა განყოფილების სამკითხველოების შენობებზე სოფლათ ასაკრავათ.

✦ დიდი მარხვის პირველ კვირაში ჭიათურის დრამატიული დასი გამართავს წარმოდგენებს ჭიათურასა და ზესტაფონში ზესტაფონის დამწვარი თეატრის ასაშენებელი ფონდის გასაძლიერებლათ— წარმოდგენილი იქნება ბელოის პიესა „ცოდვილი ევა“.—პიესას მართავს რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

✦ ჩენ მივიღეთ ლამაზათ გამოცემული წიგნაკი: „კოსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი“—45 წ. სასცენო და სალიტერატურო მოღვაწეობის იუბილეს სახსოვრათ—შედგენილი ივ. გომართლის მიერ. წიგნში მოთავსებულია კოტ. ყიფიანის სურათები სხვადასხვა როლში და მისი მშობლების სურათებიც...

✦ ხმა გავრცელდა—დრამატიული საზოგადოების გამგეობას ჩვენი მხცოვანი მსახიობის იუბილე ნაადგომებისათვის გადაუდვია. არ ვიცით, რამდენათ საფუძვლიანია ეს ხმები. თუ მართალია, უნდა ვსთქვათ, რომ ყოვლად შეუწყნარებელი გადაწყვეტილებაა. თუ გამგეობას არ შეუძლია ეს საქმე მოაწყოს ამ ჟამათვე, მაშინ განსაკუთრებული კომიტეტი შეიძლება შესდგეს, რომელიც თავს იდებს დღესასწაულის გამართვას.

✦ შავიქვის მრეწველთა საბჭოს მორიგი სხდომა ექნება ჭიათურაში 29 იანვარს.

✦ დეკემბრის განმავლობაში ჭიათურიდან გაიზიდა 5 252.500 ფუთი შავიქვა.

✦ სამსახურიდან გადააყენეს ბაღდადის საზოგადოების მამასახლისი საზოგადოებაზე ფულის უკანონოთ გაწერისა და გაფლანგვისთვის.

✦ ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავჯდომარის მიერ ოლქის სასამართლოს შენობაში გამოკრულია განცხადება, სადაც აღნიშნულია რომ ის პირნი, რომელთაც არ აქვთ უფლება სასამართლო საქმეთა წარმოებისა, სხვადასხვა სასამართლოს ქალაქდების შედგენისათვის, რჩევის მიცემისათვის სასამართლოს საქმეთა წარმოებისათვის დასჯილი ლი იქნებიან 3 თვის ციხით ან 300 მან. ჯარიმით, ხოლო ვინც გაიმეორებს ამ დანაშაულს, მას 2—8 თვემდი ციხე არ მიესაჯება და ორ წელიწადს პოლიციის ზედამხედველობაში დარჩება. ეს კანონი შედის ძალაში 1914 წ. 1 იანვრიდან.

✦ ქალაქის მოურავს ქუთაისის გუბერნატორი სთხოვს, შემდეგ ცნობებს 1913 წელს ქუთაისის გუბერნიის სტატისტიკურ მიმოხილვაში მოსათავსებლათ: ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, ხალხის ჯანმთელობა და განათლება; დამტკიცებული პროექტები 1913 წელში; შემოსავალ-გასავალი და ქალაქის ხარჯზე დაარსებული დაწესებულებანი.

✦ 27 იანვარს დღის 12 საათზე ქალაქის გამგეობის შენობაში დანიშნულია ვაჭრობა გაგარინისა და ბაზრის ქუჩების კუთხეში მდებარე ქალაქის ადგილის იჯარით გასაცემათ.

✦ ფუთი თივა ქუთაისში 4 აბაზია. აქამდი ფუთი თივის ფასი შვიდ შაურს ზევით არ აწეულა.

✦ ამ ჟამათ სოხუმის ოლქის სასამართლოში აქიმი მეეროვიჩის გატაცების საქმე ირჩევა. ამ საქმეზე სამართალშია მიცემული ხუთი კაცი და დაბარებულია 80 მოწმე.

✦ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ამუშავებს კავკასიაში საშვალო სკოლების გახსნის ხარჯთაღრიცხვას. ოლქის მზრუნველი სავაჟო გიმნაზიის გახსნას, სხვათა შორის, სიღნაღშიც ფიქრობს. ამ საქმეზე მზრუნველი სიღნაღის ქალაქის მოურავს უკვე შეკითხებია.

✦ თფილისის დრამატიულმა საზოგადოებამ ცნობა მიიღო, რომ კ. ყიფიანის იუბილეში ზუგდიდლებიც ღებულობენ მონაწილეობას და იუბილეს დღეს მისალოცათ თფილისს დეპუტაციას გზავნიანო.

✦ ეპისკოპოზმა გიორგიმ თფილისის დრამატიულ საზოგადოებას 20 მანეთი გაუგზავნა კ. ყიფიანის გასამკურნალებელ.

✦ გრიბოედოვის გადაცვალებიდან 75 წლის შესრულების გამო თფილისში „მამადავითის სასაფლაოზე“ ... ნაშვიდს გადიხდიან.

✦ კავკასიის ... ზრახვა აქვს ბათომში რეალური სასწავლებელი დააარსოს.

✦ ზემო-გურიის ცხრა საზოგადოებას დაუდგენია, თუ მთავრობა გურიაში რკინის გზას გაუყვანს, საზოგადოებანი გზის საჭირო მიწას შეიყიდიან და მთავრობას უფასოთ დაუთმობენ.

# აქიქაური.

ხვალ თფილისში ქართველობა კოტე ყიფიანს ორმოცდახუთი წლის დღესასწაულს უმართავს.

ქართველობა ქართველ მსახიობს ქართულ სცენაზე ორმოცდა ხუთი წლის მოღვაწეობას დაუფასებს.

მართლაც, რომ ღირსია დაფასებისა ასეთი ღვაწლი.

ჩვენი თეატრი ისეთ მდგომარეობაშია, რომ არათუ ასე ხანგრძლივი, მსახიობს უფრო მცირე ხნის სამსახურიც უნდა დავუფასოთ.

არა გვაქვს შკოლა, ცოტა გვაქვს საკუთარი პიესა, მოიკოჭლებს ენა სცენიდან, სხვაც მრავალია შემაფერხებელი მიზეზი და ასეთ პირობებში, განა, საკვირველი არაა, რომ მირონცხებული მსახიობნი გვყვანდენ.

მაინც გვყავს....

და ასეთ მირონცხებულთ ეკუთნის კოტე ყიფიანიც.

კოტე ყიფიანი ქართული სცენის პიონერია. დღეს მისი დროისა და ხნის მსახიობი აღარვინაა.

და მით უფრო ფასდასადებია მისი შრომა და ღვაწლი ქართული თეატრისთვის.

დ.

## „ცხოვრება და მეცნიერება“.

ამ სახელით ადესის ქართველ სტუდენტთა ერთს ჯგუფს სურს დროგამოშვებით კრებული გამოსცეს. ამ ჟამათ ამ კრებულს არ შევეხები, მხოლოდ მინდა ხარკოველ ამხანაგებს (რადგან მათს მიზანსა და ჩვენს კრებულს შორის საერთო ბევრია) გამოვეხმაურო. ხარკოვის სტუდენტების ერთმა ჯგუფმა ამ ზაფხულში ფრიად საგულისხმო მო-

---

# აფხაზეთის მთავარი

**ძელიშ-ბეი შარვაშიძე.**

(ისტორიული ამბავი).

გაგძელება, იხ. „ერი“-ს მე-18 №.

III.

მამის სიკვდილს შემდეგ ასლან-ბეი, თუმცა სოხუმის ციხეში იყო ჩაკეტილი და აღელვებული ხალხის და თავისი უფროსი ძმის სეფერ-ბეის ისე ეშინოდა, როგორც სეფერ-ბეის „შისი, მაგრამ ციხეს გარეთაც ბევრი თანამოაზრე და დამხმარე პირი ყავდა ასლან-ბეის, რომელნიც ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდენ, როგორმე აფხაზეთის სამთავრო ტახტი ხელში ჩაეგდოთ და მთავრათ ასლან-ბეი დაესვათ.

ამგვარ საქმეში, როგორც ყველგან და ყოველთვის, ისეთი პირები იყვენ საჭირო, რომლებიც, ვაჟკაცობასა და მდგომარეობის გარდა, საქმის თაობით, ხალხზე გავლენითა და ადმინისტრატიული ნიჭითაც უნდა ყოფილიყვენ ბუნებისაგან დაჯილდოებული. ამგვარ პირებს დრო და ჟამი, როცა კი საჭიროება მოითხოვს, ყოველივის თვითონ წამოაყენებს. თვითონ ჩაბამს ხოლმე ცხოვრების კალაპოტში და, უნდა თუ არა, ცხოვრების მებრძოლი ტალღების სრბოლით, მანქანისაებ, აატრიალებს, აამოქმედებს.

თ. ბეჟან შარვაშიძეც, ხომ სწორეთ ღვიძლი შვილი იყო მაშინდელი ფეოდალური წესწყობილებისა!.. ცხოვრების ამგვარი გავლენისა!!.

იგი დრომ შექმნა და ასლან-ბეის ამოუყენა გვერდით.

იგი გარემოებამ მოამზადა, ცივი გრძნობები გულში ჩაუნერგა და ასლან-ბეის მამის მკვლელობაში მხურვალე მონაწილეობა მიაღებია...

ბეჟანს ამას შემდეგ უსათუოთ ამ გზით უნდა ევლო. ამ მიზნისათვის არ უნდა ეღალატა და მიტომაც იყო რომ თ. ბეჟან შარვაშიძე თავისი დარიგებით, მოხიბლული დარიგებითა და ქადაგით ასლან ბეის უმზადებდა სამთავრო ნიადაგს და ხალხს იმხრობდა.

აღელვებული ხალხი აბობოქრებულ ზღვას ემზგავსებოდა, შფოთავდა, ტოკავდა და ერთმანეთს ასკდებოდა.

მდგომარეობა აუწერელი იყო. ხალხმა არ იცოდა, ვის მიკედლებოდა.

ოსმალეთს თუ რუსეთს. გავლენიანი თავადები ზოგი ოსმალეთისაკენ ეპატიჟებოდა და ზოგიც რუსეთისაკენ.

ტახტის კანონიერი მემკვიდრე—სეფერ-ბეი კი ამ დროს შველას მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომობიდან მოელოდა.

წერილს წერილზე სწერდა მაშინდელ მთავარმართებელს, სამეგრელოს მთავრინა ნინოსა და ყველა გავლენიან პირს, რომ მას ფრიად აწეწილ სამთავროს საქმეში დახმარებოდენ, რუსეთის დიდს ხელმწიფეს მისი ქვეშევრდომობა მიეღო და ძმის დასასჯელათ, ქვეყნის დასამშვიდებლათ რუსეთიდან ჯარი მოეშველებიათ, რისთვისაც იგი, როგორც ქვეშევრდომობას ღებულობდა მათი უდიდებულესობისას, ისე მთელი თავისი სამთავროს თავად-აზნაურობას და ხალხს საუკუნო საკუთრებათ აძლევდა, თუ კი რუსეთი ასლან-ბეის დასჯა-დამორჩილებაში დაეხმარებოდა.

„როგორც მე, ისე მთელს ჩემს სამთავროს გავაქრისტიანებო“, სოხუმის ციხეს საჩუქრათ გიძღვნიო“, ოღონდ რუსეთმა ახლა ჯარი მომიშველოს და ჩემი ჯიუტი ძმა ასლან-ბეი დამამორჩილებიოსო“, სწერდა იგი გენერ. რიკგოფს, ერთს თავის წერილში...

ამგვარისავე თხოვნით ემუდარებოდა სეფერ-ბეი სამეგრელოს მთავრინა ნინოსაც, რომ იმასაც, ეშვამდგომლებია დიდი რუსეთის ხელმწიფის წინაშე და აფხაზეთის სამთავრო თავის ყოველად უმოწყალესის მონებათა და ერთგულებათა ქვეშე მიეღო.

თუკი თქვენი წყალობათა და შრომით ეს მომიხერხდებაო, სწერს სეფერ-ბეი მთავრინა ნინოს, „მე მთავარი და მპყრობელი აფხაზთა უშინაგანესისა ადგილებისა და მემკვიდრე ბზიფისა და წებელდისა, სათნო ვექნები, მე კეთილსა განძრახვასა თქვენსა და დავაწესებ თავსა ჩემსა, ქვეყნითურთ ჩემით, მონებათა და ერთგულებათა ქვეშე, ყ-დ უმოწყალესსა და უთვითმპყრობელესისა სრულიად როსიისა იმპერატორისა, ყოვლითა ჩემითა შეძლებითა, ვითარცა თქვენ ხართ ნიჭებულნი და მიღებული მის მიერ...

შევიკვრი ფიცითა ერთგულებისათა, რათა ვიქმნე მარად ერთგულ, მე თვით თავით ჩემით და ყოველთა ჩემთა თავადთა და მაღალ კეთილშობილებათა, შევკრავ კვალადვე ფიცითა ერთგულებისათა ყოვლად უმოწყალესის და უთვითპყრობელესისა სრულიად რუსეთისა მონარხისა და აგრეთვე ტახტის მისისა მიმღებლისადმი, რათა ვიქმნე მე მკვიდრათ ყმად ქვეყნითურთ ჩემით აწ და საუკუნოდ...

ხოლო ოდეს თქვენ მიერ იგი აღთქმული კარი უთვითპყრობილესისა ხელმწიფისა ჩემისა იმპერატორისა გამეღება და ვიხილავ მე მოწყალებასა ერთმთავრულსა, დასამტკიცებელისა აზრისა ჩემისასა, მაშინ სწრაფლ განაცხადებ სარწმუნოებასა ჩემსა, რომელიც მივიღე დარიგებითა და მოქმედებითა უფლისა გარდაცვალებულისა გრიგოლ დადიანისათა და ვიწვევ ყოველთა ჩემთა საფლობელოთა, რათა მათაც განაცხადონ და რომელთა არ აქვსთ ნათელი,—ნათელი იღონ სარწმუნოებითა ბერძნისათა და დაუწყონ მსახურება თვის თვისთა ეკლესიათა...

შევიკვრი მე კვალადვე ერთგულისა და სარწმუნოსა ყმისა ჩემისათანა მორჩილებითა და ბრძანებისა გაგონებითა, ყოველითავე ჩემითა შემძლებელობითა საქართველოს უპირატეს მართველისა, ვითარცა თქვენ ხართ დამოკიდებული მისდამი.

მაქვს უკვე სურვილი წვევითა და რჩევითა თქვენითა შესვლად და მონებად ესე ვითარითა ზემორე აღწერილითა პუნკტითა, უთვითპყრობელესისა და უმოწყალესისა ხელმწიფისა ჩვენისა, უშესაბამესითა მოხედვითა და მოწყალებით მოხედულ ვიქმნე მე და მებოძოს კავალერი აღმნიშვნელი მონებისა თვისა იმპერატორებითი დიდებულებისა. და აგრეთვე გრამოტა დასამტკიცებელი მემკვიდრეობისა ჩემისა და ძეთა ჩემთა საუკუნოთ.

ხოლო სხვანი სარგებლობანი ანუ მსახურებანი ქვეყნისაგან ჩვენისა, უკეთუ გამოძიებულ იქნას მიწათა შორის ანუ ხეთა—მიეძღვნების იგი რამოდენიმე ნაწილისა გარდმოცემითა სახიერებისა გამო თვისისა იმპერატორებითი დიდებულებისა...

უკანასკნელ ამათ აზრებათა ჩემთა ითხოვს ჟამი, რათა მომევლინოს მე უთვითპყრობელესისა და უმოწყალესისა ხელმწიფისა ჩემისა უპირატეს მმართველისა საქართველოისა მიერ გრ. გუდოვიჩისა სარწმუნო გვამი, რომელმან დაგვაფიცის ჩვენ მეორეთ განახლებულითა ფიცითა, ერთგულებასა ზედა ყ-დ უმოწყალესისა და უთვითპყრობელესისა ხელმწიფისა ჩვენისათვის...

ვინაიდგან დამაფიცებთ მე, თვით ერთგულით ჩემით თავადითურთ და კეთილშობილათ ერთგულობაზედა ყ-დ უმოწყალობისა ხელმწიფისა ჩვენისა იმპერატორისა, ილვაწეთ ჩემთვის, რათა არა დასცილდეს აღთქმა თქვენი ჩემდამო, კარისაგან უთვითპყრობელესისა ხელმწიფისა ჩვენისა, რამეთუ ვაჩვენე მე თათართა თავი ჩემი წინააღმდეგათ და მტრად და კვალადაც მოვართვათ მე მძევლათ, ვითარ იგი ითხოვეთ. მაშასადამე თქვენდამო დამოკიდებულ არას თუ ვითარ იშრომებთ ჩემთვის და გამიღებთ კარსა უთვითპყრობილესისა ხელმწიფისა ჩვენისასა.*).

მთავარი სეფერბეი (გიორგი) შარვაშიძე.

ამ წერილიდან ნათლათ ჩანს, თუ რამდენათ ესაჭიროებოდა აფხაზეთის მთავარს სხვისი დახმარება და რა მხურვალე სურვილი ქონია, რომ თავისი სამთავრო, თავისი საყვარელი თავად-აზნაურობა და ერთგული ხალხი რუსეთისათვის გადაეცა, თუ კი იმ ბედნიერებას ელირსებოდა, რომ რუსეთის ჯარის შემწეობით, თავის ძმას ასლანბეგს სოხუმის ციხიდან გააძევებდა, დასჯიდა...

სამეგრელოს მთავრინა ნინო, ნათესავათ იყო სეფერბეგისა და როგორც ნინოს, ისე გრიგოლს დიდი გავლენა ქონდა მასზე.

სეფერბეის წერილის ამგვარი შინაარსი სწორეთ შედეგი იყო მათი გავლენისა და მთავრინას არც კი გაკვირებია, რომ სეფერ-ბეი ასე ემუდარებოდა, ეხვეწებოდა მათ, აფხაზეთის დიდ რუსეთთან შეერთების საქმე მალე დაესრულებია.

სამეგრელო რუსეთს აფხაზეთზე უფრო ადრე შეუერთდა და მთავრინა ნინოს სურვილი იყო აფხაზეთიც მალე შეერთებულიყო და მათთან ერთად უზრუნველათ ეცხოვრა რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომობაში.

ამ მიზნით, თავის ნათესავს ხშირათ ურჩევდა ხოლმე ქრისტიანობა მიეღო, სამთავრო რუსეთისათვის გადაეცა და მშვიდობიან ცხოვრებას შესდგომოდა.

თ. გრიგოლ დადიანმა სეფერ-ბეის ისე ქალიც არ მიათხოვა, ვიდრე მართლმადიდებელი სარწმუნოება არ მიიღო და ქრისტიანულათ არ მოინათლა.

სეფერ-ბეის წინაპრები წინათ ქრისტიანები იყვენ. შემდეგ აფხაზეთში არეულობის დროს, თავადი შარვაშიძეები და ბევრი მათთან ერთად გავლენიანი თავადიც თავისი სამშობლოდან გაძევებული იყვენ და ოსმალეთში ყოფნის დროს, თავისი სარწმუნოება დაკარგეს და გამამადიანდენ...

თეოფილე ხუსკივაძე.

(გაგძელება იქნება).

---

*) ეს წერილი სეფერბეის დაწერილია ქართულათ, სადაც დაცულია მისი გიდოტ და წერის სასიათიც. მისსიგე ხელმოწერილია ქართულათ და აზის არბუდი ბეშვდი. ეს წერილი გადმოდებულია უცვლელათ არქეოდოგიური აკტებიდან (გვერ. 204). თ. ხუს.

წოდებ ᲛᲝᲗᲐᲕᲐᲡᲐ „სახალხო გაზეთი“-ს 925-ე №-ში, სადაც სწერდენ: „დროა შევიგნოთ ჩვენი ნაკლულევანება, ჩვენი სიტყვით ყველაფრის გაკეთება და საქმით კი არაფრისა“, იქვე აღნიშნავდენ, რომ ქართველ ხალხში თუმცა ᲯერᲯერობით უმეცრება მეფობს, მაგრამ ცოდნის შეძენის სურვილი დიდია და ამიტომ „ნუ დავკარგავთ დროს, შევუდგეთ კულტურულ საქმეს და გვწამდეს, რომ ჩვენგან განასროლი მარცვალი ნაყოფიერ ნიადაგზე დაეცემა... ეს ნაყოფიერი ნიადაგი კი არის ამ ბოლო დროს გამოფხიზლებული და სწავლა-მოწყურებული ჩვენი ხალხი“-ო. ხალხში ცოდნის გადატანის პრაკტიკულ საშვალებათ სცნობდენ სოფლათ ლექციების მოწყობას სხვადასხვა საჭირო საგანზე, ლეკტორებათ კი სტუდენტებს იწვევდენ. სწორეთ რომ საუკეთესო საშვალებაა, მაგრამ ამასთანავე ნუ დაგვავიწყდება, რომ თვითონ გვჭირია სწავლა და მეცადინობა, რათა შევსძლოთ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ გასვლა და გასაგებენაზე ლექციების კითხვა მეცნიერული დარგიდან. ყველამ კარგათ იცის ჩვენი უკულმართი აღზდის შედეგი, ბევრია სტუდენტობაში უცხო ენაზე საგნების კარგათ მცოდნე და მომზადებული, მაგრამ ქართულათ მისი გადმოცემა უჭირს, უკეთ რომ ვსთქვათ, არ შეუძლიათ. და რომ შევიძლოთ, მისთვის საჭიროა ყოველს საუნივერსიტეტო ქალაქში გაორკეცებული მუშაობა, მეცნიერებათა ქართულათ შეთვისება, შესისხლხორცება. ეს კი შეიძლება ერთმანეთის შემწეობითა და დახმარებით. აგრეთვე საჭიროა ერთი ქალაქის ქართველ სტუდენტთა ნაშრომს მეორე ქალაქის სტუდენტები ეცნობოდენ, კარგს და მართალს ითვისებდენ, სუსტსა და უვარგის კი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდენ. ამნაირათ მეცნიერებასაც ქართულათ შევითვისებთ და სოფლათ მუშაობასაც შევსძლებთ. სწორეთ ეს ქონდათ დასახული ადესელ სტუდენტებს, როცა კრებულის გამოცემა განიზრახეს, და იმედიც აქვთ, რომ სხვა ქალაქის სტუდენტობა მხარს დაუჭერს. მაშ, გავუწოდოთ ხელი ერთმანეთს, ვისწავლოთ და ვასწავლოთ.

ᲑᲐᲠᲓᲐ.

## სურათები.

მიფენებაზე მოზდილ სოფელში ყავრით დახურული სახლების შორის ისლიანებიც ბევრი ურევია და დალრაკნილი ვიწრო გზები ავდრიანებში საოცარ სანახაობას წარმოადგენს: აზელილ ტალახში თხლაში-თხლეშით მიმავალი მგზავრი, სრულიად შეთხუპნილი წელს დაბლა ფეხებზე საცმელს ვეღარ გრძნობს. აგერ შეშით დატვირთულს პატარა ურემს სრულიად დაბეჩავებული საქონელი ძლივს მიალანწალებს და თავდაქინდრული ხარები, ვინ იცის, სიცოცხლეზეც აღარ ფიქრობენ. პატრონი შეუბრალებლათ უშეაჭუნებს მათ სახრეს, რომელიც ღვედათ აჩნდება საქონლის შელეწილ ფერდებს და ძვალტყავა გვერდებს; თეძოების წვეტიან ძვლებს წვეროებზე, რომ იტყვიან, ბუზი წამოეგება.

სოფლის შესავალი გზის პირას სდგას სამიკიტნო, საიდანაც გამოისმის არღნის უტიფარი ხმა, რომლის გაგონებაზეც მეურმეს მოაგონდა ბოთლით ღვინო ყაფაზაზე და ტკბილს საგონებელს მიეცა. სამიკიტნოში სდგას თუნუქის დაჟანგული ფეჩი, რომლის დაცხრილული გვერდებიდანაც ცეცხლის ალი ჩანს. იქვე ორი გაზიგნილი სუფრა და ტაბურეტკები. ერთ სუფრას უზიან ორი „მოქეიფე“ და მელვინე. მათ მასპინძლობას შეადგენს ᲭᲐᲓᲘᲡ ნატეხები, თხელი უფერული ᲩᲕᲐᲠᲘᲕᲘᲗ ლბილი თორნის პური, ყველის ცარიელი მარილა ნაჭრები და ღვინო. ხუთი ბოთლი უკვე დაცლილია და სუფრას უმშვენებდა ᲫᲛᲐ ᲑᲘᲭᲔᲑᲡ. რაღაც გაფრთებული ᲟᲘᲜᲘᲗ გლანᲯᲕᲔᲜ დიდრონი ᲭᲘᲥᲔᲑᲘᲗ ღვინოს და ყოველ ᲭᲘᲥᲐᲡ შემდეგ ᲩᲐᲮᲚᲘᲗᲬᲘᲚᲘ ᲮᲛᲘᲗ უწმაწურის სიტყვებით სიმღერას Ჯღავიან და ხან ცალ-ცალკე და ხან ორივე ერთად ᲩᲐᲜᲓᲠᲘᲙᲝᲑᲔᲜ. მეარღნე ᲮᲨᲘᲠᲐᲗ—ᲭᲝᲘ, ᲭᲝᲘ, თქვენი ᲭᲘᲠᲘᲛᲔᲡ შესძახებდა და ცალი თვალი ღვინისკენ უᲭᲘᲠᲐᲕᲡ. ᲩᲐᲠᲒᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ მიკიტანიც დახლიდან აქეზებს ᲑᲘᲭᲔᲑᲡ: ᲝᲰ, თქვენი ᲭᲘᲠᲘᲛᲔ რა ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲮᲐᲠᲗ, თქვენი გამარᲯვებისა იყოს!,. და მოაქვს მოსამატი. ყაფაზაზე აუარებელი ბუზის ნაᲯდომია, ახალი ნაყავილევით აᲭᲠᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ორი სამი თეფში აწყვია, ᲮᲛᲔᲚᲘ ᲠᲣᲠᲐᲡ ᲜᲐᲢᲔᲮᲔᲑᲘ, ᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲜᲐᲭᲠᲔᲑᲘ და საოცარი გამხმარი გაფიტებული წიწილა, იქვე რამდენიმე წაყვითლო ბოთლი და ᲭᲣᲭᲧᲘᲐᲜᲘ ᲭᲘᲥᲔᲑᲘ. ყაფაზას გადალმა ღვინით გაზიფთული ᲭᲣᲓᲘ. ღვინო მღვრიე, არც თეთრში სწერია, არც წითელში, მისი წატკბილო გემო გულზე გეზიდება. სამიკიტნოს დერეფნიდან რამდენიმე ახალგაზდა ᲑᲘᲭᲘ მოქეიფეებს უᲭᲕᲠᲔᲢᲔᲜ.

— რა დროს ქეიფია ამ საქმის დღეს? —შევკითხე დერეფანში ყმაწვილებს.

— სულ ასეა, ბატონო, აქ. აგერ რა სმენ, ჩვენი მამებია. შინ მშივრები ვართ და მაგათ დუქნიდან გამოდენა ვერ მოვუხერხეთ, მიჩვეულებია, და როგორც რამეს იშოვიან ქუთაისში, დუქანში შესᲮᲐᲛᲔᲜ. ამისთანები სხვაც ბევრია ახლა ჩვენს სოფელში:

Ბ. ᲡᲕᲔᲓᲘᲐᲜᲘ.

## სარკე.

**დიდით** ავდექი თუ არა, პირი დავიბანე და ჩემს სარკეს მივუᲯექი. საშინლათ მიამა ჩემი თავის დანახვა—სახე სუფთა, გაბრწყინვებული, სიცოცხლით სავსე. გაკვირვებული თავს ვეკითხებოდი, არ მᲯეროდა, თუ ეს მშვენიერება მე ვიყავი. მეტის მეტათ ნასიამოვნები დავრჩი

LᲐᲩᲥᲐᲠᲝᲗᲗ ᲩᲐᲕᲘᲪᲕᲐ, მოვეკაზმე და სასეირნოთ წავედი. მეგონა, მთელი ქვეყანა ჩემი იყო, ყველა მე შემომნატროდა, თითქოს ბუნება ზეიმს მიხდიდა...

**შᲐᲓᲓᲘᲡᲐᲡ** შინ დავბრუნდი—და კვლავ სარკეს მივაკითხე. ჩავიხედე თუ არა შუბლზე და თვალის კილოსთან ნაოᲭᲔᲑი შევამჩნიე. არ დავუᲯერე თავს. ვიფიქრე, იქნებ, სარკე გაიბზარა-მეთქი.—მაგრამ არა—სარკე ისევ ისე წმინდა, სუᲤთა, კᲐᲛᲙᲐᲛᲐ იყო, როგორც დილით. თვალი ხომ არ მატყუებს!—ამოვიფშვნიტე კარგათ და ისევ ჩავიხედე სარკეში, დავრწმუნდი, რომ არ ვსტყუᲤᲔᲑᲝᲓᲘ. ბრაზმორეულს, დიდხანს აღარ მიფიქრია და გამოვედი სახლიდან, ხოლო არვიცოდი კი საით ᲐᲜ რისᲗᲕᲘᲡ მივდიოდი. მინდოდა თავდავიწყებას, მივცემოდი. . . .

**სᲐᲓᲐᲛᲐᲓᲐ** შინ არ დავბრუნებულვარ, დავბრუნდი თუ არა, სარკეს მივაშურე... და რა ვნახე? საბრალო ჩემი სახე! ყველგან ნაოᲭᲔᲑი და ღარები გამჩენოდა..... სიცოცხლის ელფერი ერთიანათ დამგარგოდა. იქნებ ვინმემ სარკე გამომიცვალა-მეთქი. არა, სარკე იგივე იყო, რაც დილით, შვადღისას. ბრაზმორეულმა ჩემს საყვარელ სარკეს ხელი დავსტაცე და იატაკს დავანარცხე.

მაგრამ სარკე მთელი დარჩა,. იატაკზე პირალმა ეგდო და შიგ ისახებოდა ჩემი დანაოᲭᲔᲑული სახე.

ᲛᲐ—ᲠᲝ.

### ქუთაისის ძველი სასაფლაოს საეკლესიო სამრევლო შკოლა.

ოცდაოთხი წელიწᲐᲓᲘᲐ, რაც წყალგალმა ნაწილში, მესხეთის ქუᲩის შესახᲘᲔᲕᲨᲘ, ᲮᲡᲜᲔᲑᲣᲚ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲛᲡ ᲔᲡ ᲨᲙᲝᲚᲐ, რომელიც 1889 წელში დააარსა იერ. ნიკოლაძემ და თან ხუთი წლის განმავლობაში იმასწავლებლა ამ შკოლაში, რისთვისაც ნეტარᲮᲡᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲔᲠᲘᲡᲙᲝᲠᲝᲖᲛᲐ გაბრიელმა ის აკურთხა მთავარდიაკვნათ ამავე ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲖᲔ. 1893 წლიდან Ე. ნიკოლაძე გაამწესეს ღვდლათ სოფ. იანაშაურში, სადაც მსახურობდა 1911 წლამდი და თან მასწავლებლობდა იქვე სამრევლო შკოლაში, რომელიც მან მისვლისათანავე დააარსა. ამ ხნის განმავლობაში ძველი სასაფლაოს სამრევლო შკოლა დარჩა ერთკლასიანათ და მოსწავლეთა რიცხვიც არ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲝᲓᲐ 30-35. 1911 წლის პირველ სეკტემბრიდან მამა ნიკოლაძე გადმოიყვანეს ისევ ქუთაისში ამავე ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ მეორე ღვდლათ და თან სამოსწავლო საბᲭᲝᲛ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲨᲙᲝᲚᲘᲡ გამგეთ დანიშნა. მოსვლისათანავე მან ყურადღება მიაქცია შკოლის შენობის გადიდებას და ᲝᲠᲙᲚᲐᲡᲘᲐᲜᲐᲗ გადაკეთებას; დაიკავა როგორც მასწავლებელთან, ისე მრევლთან თვისება, თანხმობა და თავისი ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ კიდევაც მალე განახორციელა თავისი სურვილი და ორი თვის განმავლობაში ძველ შენობას მიუმატა მშვენიერი ორი საშკოლო ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲘᲡ ᲝᲗᲐᲮᲘ. ᲓᲦᲔᲡ მოსწავლეთა რიცხვი ამ შკოლაში 150-მდი ადის და საქმეც ჩინებულათ მიდის; დიაკონის სამუილ ანთაძეს გარდა, რომელიც კარგახანია რაც აქ მასწავლებლობს, დანიშნეს კიდევ მასწავლებლებათ ორი ქალი, საღვთო სᲯულს კი ასწავლის მამა ნიკოლაძე.

გასული წლის 20 დეკემბერს დავესწარი ამ შკოლის ᲐᲮᲐᲚᲘ შენობის კურთხევას; მოწვეული იყვენ ეპარᲭᲘᲘᲡ მეთვალყურე ვ. ავერკიევი, მაზრის მეთვალყურე და სხვა საპატიო პირნი. ბ. ავერკიევმა მადლობა უთხრა შკოლის გამგეს მამა ნიკოლაძეს და აღუთქვა შკოლის ᲝᲠᲙᲚᲘᲡᲘᲐᲜᲐᲗ გადაკეთება. საზოგადოთ მამა ნიკოლაძე მრევლთან და მასწავლებლებთან შეთვისებული ადამიანია და საქმეში დაუზარებელი მუშაკი. ის არა გავს ზოგიერთს ჩვენს სულიერ მამას, რომელთა შესახებაც ᲮᲨᲘᲠᲐᲗ ვკითხულობთ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ გაზეთებში საყვედურს მათი უმზგავსო და არა საკადრისი საქციელის შესახებ. როგორც ამასწინათ ვსწერდი სულიერ მამებზე, კიდევ ვიმეორებ, რომ ზოგი მათგანი, მიუხედავათ იმისა, რომ თავისთავს განათლებულ ღვდელს უწოდებს ცუდ მაგალითს აძლევს თავის მრევლს. ამ ერთი თვის განმავლობაში ბევრი სამდურავი წავიკითხე და გავიგონე ღვდლებზე.

არ ᲔᲠᲐᲢᲘᲔᲑᲐᲗ მათ ამგვარი ᲞᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ დამამცირებელი საქციელის ჩადენა. ნუთუ ამას უკითხვენ მრევლს ქრისტეს მოძღვრებიდან?!

რაღა გავლენა ᲔᲥᲜᲔᲑᲐ ასეთი ღვდლების სიტყვას და ᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲐᲡ!

ᲓᲐᲕᲘᲓ ᲑᲔᲖᲘᲐᲜᲫᲔ.

## მცირე შენიშვნა.

საჭიროთ ვსთვლი ვაცნობო ქუთაისის განყოფილების ქ. შ. წ. კ. გამავრცელ. საზოგადოების გამგეობას შემდეგი: 1912 წელში გამგეობის მონდობილობით ვეწეოდი აგენტურას წევრების რიცხვთა გასამრავლებლათ, შეკრებილი ფული და თან ახალ წევრთა სია ჩავაბარე საზოგადოების მოლარეს. აღმოჩნდა, რომ 1912 წლის ანგარიშის სიაში შეცთომით დაბეჭდილია: ონიაძე სამუილ, უნდა იყოს—ანთაძე სამუილ (მთავარდიაკონი), რომელიც 1912 წლიდან ᲩᲐᲘᲬᲔᲠᲐ წევრათ და კიდევაც გადაიხადა სრულად საწევრო ფული სამი მანეთი. ცოტა არ იყოს ამ გარემოებამ მე უხერხულ მდგომარეობაში ᲩᲐᲛᲐᲧᲔᲜᲐ, რადგანაც შეუძლია იფიქროს, მამა ანთაძემ, რომ მე მისი სამი მანეთი არ წარმიდგენია. ვსთხოვ გამგეობას შეასწოროს ეს შეცთომა.

ᲓᲓ. ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

### წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილების საყურადღებოთ!

ᲥᲐᲠ. Ш. Ч. Ჯ. Გ. Ს. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ, ᲡᲮᲕᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ, ᲒᲐᲛᲝᲘᲮᲐᲢᲔᲑᲐ ᲥᲐᲠ. ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲨᲘ. ᲓᲦᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡᲐ ᲛᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ: „ᲛᲐᲗᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲘᲨᲔᲠᲐ“, „ᲝᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ“, „ᲓᲐᲠᲕᲘᲜᲘᲖᲛᲘ“, „ᲗᲘᲜᲐᲡ ᲚᲔᲙᲣᲠᲘ“, „ᲛᲐᲒᲓᲐᲜᲐᲡ ᲚᲣᲠᲯᲐ“, „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲐᲠᲐᲜᲘ“ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲐᲗ ᲨᲔᲛᲔᲜᲘᲚᲘ: „ᲣᲡᲐᲮᲚᲙᲐᲠᲝ“, „ᲓᲝᲜᲥᲘᲮᲝᲢᲘ“ ᲓᲐ „ᲙᲚᲘᲠᲘ“.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲖᲔᲛᲝ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ „ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲛᲐ ᲡᲐᲥᲪᲘᲐᲛ“ ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲒᲐᲡᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲚᲐᲗ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲡ: 1. ᲑᲐᲥᲝᲡ, 2. �თᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ 3. ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ, 4. ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ, 5. ᲒᲝᲠᲘᲡ, 6. ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ, 7. ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ, 8. ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ, 9. ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲘᲡ, 10. ᲑᲐᲗᲝᲛᲘᲡ, 11. ᲤᲝᲗᲘᲡ, 12. ᲡᲮᲣᲛᲘᲡ, 13. ᲮᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ 14. ᲐᲮᲐᲚᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡᲐᲡ.

ᲓᲦᲔᲡ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡ ᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲛ 23 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲐᲓᲒᲐᲜᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲔᲥᲪᲘᲐᲡ ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲕᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ. ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲡᲔᲥᲪᲘᲐ ᲡᲐᲥᲘᲠᲝᲔᲑᲡ—ᲛᲘᲘᲚᲝᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ, ᲓᲐᲕᲬᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲖᲔᲛᲝᲠᲔ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐᲒᲐᲜ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲤᲣᲚᲔᲑᲘᲪ.

ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲐᲚ-ᲪᲐᲚᲙᲔ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲓᲠᲝ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ, ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲔᲥᲪᲘᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐᲗ ᲣᲜᲣᲒᲔᲨᲝᲐ. ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲐᲜᲬᲘᲚᲔᲡ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲠᲘ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲦᲕᲓ. Ს. ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ ᲡᲘᲐᲚᲑᲔᲨᲘ. ᲛᲐᲗ ᲣᲜᲓᲝᲓᲐᲗ ᲠᲝᲒᲝᲠᲛᲔ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲞᲘᲠᲨᲐᲕᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲔᲧᲕᲐᲜᲐᲗ ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲡᲐᲭᲘᲕᲐᲠᲘᲪ ᲙᲘ ᲐᲦᲡᲫᲠᲔᲡ ᲡᲘᲜᲘᲐᲦᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲛᲐᲗ ᲡᲐᲕᲐᲚᲐᲚᲝᲗ, ᲦᲕᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲓᲐ.

ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘ ᲛᲐᲛᲐ ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲦᲚᲘᲔᲠᲘ ᲧᲐᲕᲡ ᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲐ 200 Მ. ᲙᲐᲜᲙᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ 200 Მ. ᲓᲠᲐᲛᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲜᲐᲦᲚᲓᲐᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲦᲝ, ᲐᲠᲐᲢᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲠᲔᲕᲚᲡ ᲘᲛ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲤᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲠᲝᲕᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲓᲔᲡ ᲐᲮᲚᲝᲠ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲡᲐᲮᲡᲜᲔᲚᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲡ

„ᲗᲣᲜᲯᲘᲖ“.

## † ᲘᲡᲘᲓᲝᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ.

(ᲜᲔᲙᲠᲝᲚᲝᲒᲘ.)

ᲐᲛᲐ ᲬᲚᲘᲡ 5 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ Ქ. ᲡᲮᲣᲛᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ ᲘᲡᲘᲓᲝᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ ᲐᲜᲐᲞᲘᲘᲡ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲤᲔ. ᲛᲐᲜ ᲕᲔᲠ ᲐᲘᲢᲐᲜᲐ ᲧᲣᲑᲐᲜᲘᲡ ᲪᲘᲪᲘ ᲭᲐᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲒᲐᲪᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲤᲘᲚᲢᲕᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲖᲘᲐᲜᲓᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲗ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲓᲐ ᲡᲝᲤ. ᲝᲑᲣᲯᲨᲘ (ᲝᲓᲘᲨᲘ). ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲜᲝᲥᲠᲐᲗ ᲛᲘᲐᲑᲐᲠᲔᲡ Ქ. ᲡᲮᲣᲛᲨᲘ. 1909 Წ. ᲛᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲡᲢᲣᲓ. ᲫᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲘᲡ 5 ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲬᲚᲝᲕᲐᲜᲝᲑᲐᲛ ᲮᲔᲚᲘ

სამაჯრო სახლი **ი. გოკიელის** შვილების ქუთაისში.

მიღებულია და იყიდება ძლიერ ზომიერ ფასებში **რუსული კალენდრები** საოკეთესო გამოცემა ოქტო კიხნე რისა და სიტონის ამხანაგობისა. | ქართული კალენდის და ჯიბის **კალენდრები**

**ტყავის პორტფელები** (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя). ✦ **კალათები ქალალდის ჩასაყრელი.**

შეუშალა და არ მიიღეს ქუთ. გიმნაზიაში. მოკლე ხნით ის სწავლობდა „მკურნალის გიმნაზიაში“ და აქედან ანაპიის გიმნაზიაში მეექვსე კლასში შევიდა. განსვენებული იშვიათი ადამიანი იყო; გულკეთილი, პატიოსანი და მუდამ მზა, თავი შეეწირა ამხანაგისა, გაჭირვებულ მოძმისათვის.

ცოდნით შეიარაღება და ხალხის სამსახური—ეს იყო მისი მისწრაფება, მაგრამ ულმობელმა სენმა უდროოთ გამოასალმა სიცოცხლეს...

საუკუნო დარჩება ხსოვნა შენი, კეთილო ისიდორე... **ბ.**

## თეატრი და ხალოვნება

**რუსული დასი.**

რამაზანოვის „ქაჯი“ იწყება ქმრისადმი სიყვარულით: „მომკალი ამ უდაბნოში, ამ ოხერ პროვიციაში, წამიყვანე მოსკოვს, მე სიცოცხლე, ცხოვრება მინდაო“... ქმარი აიმედებს: მე მინდა, შენ დიდი აკტისა იქნე:—მოსკოვში შენ პირველს ხარისხოვან როლებს არ გათამაშებენ და აქ კი დიდებული აკტრისის სახელს მოიხვეჭო“... და სხვა...

ჩანს, რომ პროვინციაში, ყოველ უაზრობა, უნიჭობის ადგილი აქვს და შეიძლება საპატიოც... ამის თქმა უნდოდა ბ. რამაზანოვს და ეს სისრულეშიც მოიყვანა...

სოფელი ნახა უძაღლო და კატები ააყეფა... აბა, რათი აიხსნება მისი უვარგისი დასათ და მისივე უაზრო და დახავსებული პიესებით ჩვენი წვევა?!. ასეთი პიესებითა და ანსამლით დიდს ქალაქებში გაბედვენ რამაზანოვ-კოტეენიკოვ-ვალერიანოვები თამაშს?.. ვერა! ჩვენ კი—პროვინციელები—მათაც ახირებული ვყავართ ბ მიტომ გვიმასპინძლდებიან „ასეთი ჩახოხბილი ფლავებით“.. მოდიან ეს დალოცვილები დიდი ჰაი-ჰუითა და რიხით აცხადებენ: პეტერბურგ-მოსკოვის გამოჩენილი არტისტები და მწერლები ვართ და, როდესაც ამით დაინტერესებული მდიხარ მათ სანახავათა და ხელოვნებით დასატკბობათ—უსიამოვნების მეტს აღარაფერსა გრძნობ... არც თამაში უვარგათ და არც სიმღერა მუსიკის ცოდნა და უნარი შესწევთ.

რამაზანოვმა კიდევ ამას თავის კალმის შეუფერებელი პირებიც დაუმატა თან და... „დაგვატკბო“...

აბა, მითხარით: რასა გავდა მისი „ქაჯი“ და „ზელიმ-ხანი“!.. „ქაჯი“ რაღაც პოპურს მოგაგონებს: აქ ტოლსტოის ტონიც არის ვითომ და არციბაშევისაც და ნამდვილათ კი... არაფერი...

„ზელიმ ხანი“ კი უფრო პანტომიმარას გავს... ულაზათო ოხუნჯობა, თოფის სროლა და... სიცილი კი არ გეკარება, სრულიად არა გავს „შუტკას“, როგორც რამაზანოვი უწოდებს მას...

ასეთ „შუტკას“ რამაზანოვი არ სჭირდება, ჩვენში ყველა მოშაირე არა მასზე ნაკლებ იხუმრებს...

ვაი, რომ დიდი ბაზარი არ აქვს ჩვენს მოშაირებს, თვარა რამაზანოვები თურმე ჩვენც ბევრი გვეყოლებოდა!..

მაგრამ, ღმერთო დაგვიხსენ ამისთანა მწერლებისაგან... და უფრო კი ამისთანა მოსულებსაც გვაშორე...

**ალ. ლოლაძე.**

## სია

იმ პირთა, ვინც 1913 წლის საწევრო გადასახადი 3 მანეთი შემოიტანეს ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებაში.

1 მიქელაძე პიპინია.
2 თუმანიშვილის ასული ნატალია.
3 თუმანიშვილი ივანე სტეფანეს ძე,
4 ჯაფარიძე გიორგი კოსტანტინეს ძე,
5 ჯაფარიძე მარინე გიორგის ასული,
6 ჯაფარიძისა ლიდია ნესტორის ასული,
7 ნაკაშიძე ისიხი,
8 გვეტაძე იოსები,
9 ართმელაძე ტიტე,
10 ბაქრაძე იასონ თომას ძე,
11 კაკაბაძე ილია პავლეს ძე,
12 ქელბაქიანი სევერიანე დომენტის ძე,
13 ყიფიანი იპოლიტე მინას ძე,
14 ოლრეშიძე ეპიფანე,
15 კილაძე გიორგი დავითის ძე,
16 შავგულიძე ვლადიმერ თედორეს ძე,
17 ფანცხავა იაკობ სპირდონის ძე.

ამას გარდა წინათ იყო გამოცხადებული 130 კაცი, ამიანათ არის 147 კაცი.

ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების მოლარე **ბარათაშვილი მოსეშვილი.**

## წერილები რედაქციის მიმართ.

**ბატონო რედაქტორო!**

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზ. „ერი“ს საშვალებით დიდი მადლობა გამოვუცხადოთ ერმალოზ დიმიტრის ძეს და გაბრიელ ლუარსაბის ძეს ქათამაძეს, დავით იპოლიტე სძეს ახარხაძეს და დამსწრე საზოგადოებას, რომელთაც ჩემ-მიერ ახლათ შედგენილ აქარის ორკლასიანი შკოლის მოწაფეთა ქართულ მგალობელთა გუნდს საშობოთ და სანათლიღებოთ ძირულის ეკლესიაში გალობისთვის დასაჩუქრებით (ფულით) და სიტყვების წარმოთქმით მადლობა გამოუცხადეს, რითაც მეც საშვალება მეძლევა, რომ ხსენებულმა გუნდმა მომავალში აღნიშნულ საგანს უფრო ენერგიულათ მიუდგას გული.

**მასწ. ალ. ხარატიშვილი.**

---

ბ.- რედაქტორო! ქუთაისის ბავშთა მზრუნველი საზოგ. გამგეობა გთხოვთ, მოათავსოთ თქვენს გაზეთში შემდეგი ანგარიში გამგეობის მიერ 14 დეკემბერს გამართული წარმოდგენის შემოსავალ-გასავლისა: ბილეთების გაყიდვით 554 მან. და 3 შ., პროგრამ-ბისა, ყავიოლ-ბისა და ტაბილეულობის—30 მან. შემოწირულობანი შემოვიდა 32 მან. და 3 კაპ., თავ. გ. ერისთავისაგან 5 მან., ე. ნ. ჩიქვანისაგან 5 მან., თავ. ნ. ნ. ნაკაშიძისაგან 3 მან., თავ. ი. ვ. მელიქოვისაგან 3 მან., ს. ი. ხეჩინოვისაგან 3 მან., ე. ს. როძზეეჩისაგან 3 მან., ბ. ნ. რაფაელოვისაგან 3 მან., თავ. დ. ო. ნიჟარაძემ გარდა ბილეთის ფასისა 1 მ. 18 შ., ვ. ვ. მაქსიმოვისაგან 6 აბ. დ. ე. ჩიმაკაძისაგან 1 მ. და 1 შ., და ბ-ნ „ა“—2 მან. და 88 კ. სულ 616 მან. და 18 კაპ. დაიხარჯა: ქირა თეატრისა, ტანისამოსის შენახვა და საქველმოქმედო მარკების ხარჯი 91 მ. 73 კაპ. სტამბის ხარჯი 8 მან- 10 შ., აფიშების გაკეთებელს 2 მან., საავტორო გონორარი 6 მან., რეკვიზიტი 6 მან. და 6 შ., გრიმების მკეთებელს 6 მან., როლების გადამწერს 4 მან. 10 შ. მსახიობ სლავსკის გამოსვლის ფული 10 მან., მუსიკას 12 მან., რეწისორის ხარჯი 2 მან., ყვავილებში 3 მან., ტაბილეულობაში 12 მან., რეპეტიციებზე ხარჯი 6 მან. 11 შ. წერილმანი ხარჯი 8 აბაზი. სულ 177 მ. 18 კ. დარჩა წმ. შემოსავალი 439 მან-

გამგეობა უღრმეს მადლობას უცხადებს დრამატიული ხელოვნების მოყვარულთ: ნ. ი. კოტლიაროვისას, ა. ს. ფეშინისას, იუ. ა. კალატუსინისას, ო. მ. კოსსოვსკისას, იუ. ა. სტროგანოვისას, ქ. ბელაკნელს, ვ. ლ. ჩერინს, ვ. ტ. სლავოკინს, ბ. ი. ბავლინეცს, ვ. მ. კუპრიანოვს, მ. ნემოს, დ. კ. ჩარკვიანს, გ. გრიშასა და ვ. ჩხიკვაძეს, რომელთაც დიდი შრომა დასდვეს ამ საქმეს. აგრეთვე მადლობას სწირავს იმ პირთ, ვინც მატერიალური დახმარება აღმოუჩინეს საზოგადოებას.

გამგეობის თავჯდომარე **მ. მოსიძისა.**
მდივანი **დ. ძანუიდოვი.**

---

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ბრეგაძე.**

## კ. ოცხელის წიგნის მაღაზიამ

(ქუთაისში)

სრულ საკუთრებათ შეიძინა გამოცემული თხზულებანი

## ფილიმონ ქორიძისა.

**სახელდობ:**

| | | | |
|---|---|---|---|
| სახელმძღვანელო ნოტებისა | — | — | ფასი 2 აბაზი. |
| ქართული გალობა, ლიტურგია პირველი ხმა | | — | ფასი 2 „ |
| იგივე — — მეორე ხმა | | — | ფასი 2 „ |
| იგივე — — ბანი | | — | ფასი 2 „ |
| იგივე — — პარტიტურა | | — | ფასი 1 მანეთ. |
| საგალობელნი პირველ შეწირულისა | | — | ფასი 2 აბაზი. |
| მიცვალებულის საგალობელნი | — | — | ფასი 2 „ |
| აღდგომის საგალობელნი | — | — | ფასი 10 შაური |
| გალობა სადღესასწაულო განიცადეები | | — | ფასი 2 აბაზი. |

**წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 25%.**

---

1914 **წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ**

**წელიწადი მეათე.** **„ნაკადული“** **წელიწადი მეათე**

(1914 წ. 1-ლი იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდი).

თფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2, ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:

**მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი, მოზდილთათვის 12 წიგნი.**

36 **სურათი**, წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.

**საჩუქრათ ორივე კამოცემის წლიურ ხელის მოწერლებს მიეცემა წიგნი:**

**„მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქეველი მთები“,**

(მრავალი სურათით), **გიორგი ანთელიძისა.**

ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურათ—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარგარეთ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ.; მოზდილთათვის—3 მ., ხელის მოწერა მიიღება წლიურათ. და ნახევარი წლით. **ხელის-მოწერა შეიძლება:**

**თფილისში: „ნაკადულის“** რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули“, Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან. მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან, **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალიძესთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **დანწყუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კოსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასო ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაპაძესთან, **ზესთაფაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში**—ბ. ამბოქაძესთან, **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან, **ყარსში**—ივ. საათაშვილთან; **ადექსანდრეპოლში**—ს. შატბერაშვილთან, **როსტოვში**—მ. კლიმიაშვილთან, **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს, ადრესი **კარჩევთ** დასწერონ, თუ ჟურნალი არ მისდისთ, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

1631 რედაქტორი **ნ. ნაკაშიძე.** გამომც. **თ-დ პ. თუმანიშვილი.**

---

გმელდება ხელისმოწერა

## „სასოფლო გაზეთზე.“

**24 ნო-ემბ. უკვე შესრულდა მისი არსებობის ერთი წელიწადი.**

**მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისთვის.**

| | |
|---|---|
| წლიური ფასი . . . . | 4 მან. |
| ნახევარი წლის . . . . | 2 მან. |

**ფულის შემოტანა შეიძლება ორჯერ:**

2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანეთიც პირველ მარტისთვის.

**მთელი წლის ხელისმომწერთ გაეგზავნებათ საჩუქრათ ბოსტნეულობის საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.**

**ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით:** Кутаисъ С. Х. Школа, Александру Давидовичу Шарашидзе.

---

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

## „სახალხო გაზეთი“

(წელიწადი მეხუთე)

**1914 წ. გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდი გამოდიოდა კვირაობით**

**სურათებიანი დამატება**

1914 **წლ.** ხელის მომწერნი, ვინც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ **პრემიათ: პირველი წიგნი: ქართველი მწერლები: 1 „შგვირგვინი მეფე“** ისტორ. დრამა 5 მოქ. ალექ. შანშიაშვილისა. **2. „მიმქრალი შარავანდი“** ისტ. რომ ვ. ბარნოვისა **მეორე წიგნი:** უცხოეთის მწერლები: **„დონ კარლოსი“**—ტრაგ. შილერისა, თარგმ. გერმან. ალ. შანშიაშვილისა. და სხვ. ნაწარმოები უცხოეთის მწერლებისა **მესამე წიგნი „სამეცნიერო კრებული.“** ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

**გაზეთის ფასი**

**თფილისში და მის გარეშ.**

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8მ.10შ. | 8 მ.—„ | 7მ.10შ. | 6მ.15შ. | 6 მ.—„ | 5მ. 5შ. | 4მ.10შ. | 3მ.15შ. | 3 მ.—„ | 2მ. 5შ. | 1მ.10შ. | — 15შ. |

**საზღვარ გარეთ.**

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15მ.—„ | 13მ15შ | 12მ.10შ | 11მ.5შ | 10მ.—„ | 8მ15შ | 7მ.10შ. | 6მ. 5შ. | 5 მ.—„ | 3მ.15შ. | 2მ.10შ. | 1მ. 5შ. |

**ცალკე ნომერი ყველგან შაურით; დამატებიანი შვიდი კაბეკით.**

---

**თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ადესელ სტუდენტთა ინიციატივით გამოვა ქართულ ენაზე სამეცნიერო-სალიტერატურო კრებული**

## „ცხოვრება და მეცნიერება,“

რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სტუდენტების გარდა ადგილობრივ უნივერსიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები. სუფთა შემოსავალი ამ კრებულიდან გადაიდება ადესის ქართულ საზოგადოების „საქართველო“-ს სასარგებლოთ.

**შინაარსი.**

**ბრ.—დოტ: ს. ავალიანი.** დროებით ვადდებულ გზეხთა საკითხი. **ორდინატორი ნერვიულ კლინიკისა აქიმი ს. ვიფშაქ:** საუბარი ტვინის ფუნქციებზე. **ბრიზეტორი ანატომიურ თეატრისა აქიმი ნ. კახიანი:** ნორმალურ ანატომიის შესავალი (უჯრედი და ქსოვილი). **ორდინატორი ვენერიულ კათეორზე აქიმი მ. ტეტხლაძე:** ადამიანის სქესობრივი ცხოვრება. **სტუდენტი ბ. ქავორაძე:** ანაბიოზი. **სტ. ქ. რაზგელიშვილი.** საუბარი ხელოვნების შესახებ. **სტ. ს. ასლანიშვილი.** სამტხე-საათაბაგოს სიძველენი. **სტ. გ. კარბელაშვილი.** ახალგაზდები (მოთხ. სტუდ. ცხოვ.) **სტ. დ. ელენტი.** ბავშის ადზდა. **სტ. გ. ურუშაძე.** რადის მნიშვნელობა მედიცინაში.

ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ალექსანდრეს ქუჩა. ზ. კოკოჩაშვილის სახლი. ხელის მოწერით წიგნი ეღირება ერთი მანეთი, შემდეგ 1 მ. 10 შ.

---

## გ. ბოლოდაძისა და ს. ფერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის კოშმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩავ-მაღლეკეის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზენიანს „БЕМСКОЕ“

**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**

საოკეთესო ქარხნებისგან

**მიღებული რკინეული**

**საქონელი:** კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.

**ვაჭრობა პარტიათა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**

ქ. ქუთაისში, სკკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

---

## რკინის გზა.

**ქუთაისიდან მიდის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **თფილისს:** | სახალხო დილის | 10 საათ. | 6 წ. |
| | ფოშტის დილის | 11 საათ. | 55 წ. |
| | სახალხო ღამით | 11 საათ. | 27 წ. |
| **ათოუმს:** | სახალხო დილის | 5 საათ. | 10 წ. |
| | სახალხო ღამით | 11 საათ. | 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 21 წ. |
| **ფოთს:** | საგარაკო დღის | 4 საათ. | 22 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. | 10 წ. |
| | ფოშტის დღით | 5 საათ. | 21 წ. |
| **ზოკრაპანს:** | საგარაკო დღით | 4 საათ. | 57 წ. |
| **ტყიბულს:** | სახალხო დილის | 7 საათ. | 50 წ. |

**ქუთაისს მოდის.**

| | | | |
|---|---|---|---|
| **თფილისიდან:** | სახალ. დილ. | 7 საათ. | — |
| | ფოშტის საღამ. | 6 საათ. | 55 წ. |
| | სახალხო ღამ. | 1 საათ. | 28 წ. |
| **ბათუმიდან:** | საფ.-სახ. დილ. | 11 საათ. | 14 წ. |
| | სახალხო ღამ. | 1 საათ. | 27 წ. |
| **ფოთიდან:** | საგარ. დილ. | 10 საათ. | 3 წ. |
| | სახალხო დღით | 1 საათ. | 20 წ. |
| | სახალ. ღამით | 1 საათ. | 26 წ. |
| **ზოკრაპანიდან:** | საგარ. დილის | 9 საათ. | 31 წ. |
| **ტყიბულიდან:** | საღამოს — | 5 საათ. | 11 წ. |

**ბილეთის ფასი:**

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | |